



საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილება  
მოსკოვის საპატრიარქო

## რუსეთის ქრისტიანული კონფესიები მხარს უჭერენ ტრადიციული ფასეულობების დამცველ ფინელ ქრისტიანებს



**ХРИСТИАНСКИЙ МЕЖКОНФЕССИОНАЛЬНЫЙ  
КОНСУЛЬТАТИВНЫЙ КОМИТЕТ**

*ქრისტიანული კონფესიათაშორისი საკონსულტაციო კომიტეტის წევრებმა ტრადიციული ქრისტიანული ოჯახური ღირებულებების დამცველი ფინელი ქრისტიანების მხარდასაჭერად ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს.*

**დოკუმენტის სრული ტექსტი ქვემოთაა მოცემული:**

**რუსეთის ქრისტიანული კონფესიების ერთობლივი განცხადება**

ქრისტიანული კონფესიათაშორისი საკონსულტაციო კომიტეტის სახელით – ევრაზიულ სივრცეში ტრადიციული ქრისტიანული კონფესიების ურთიერთმოქმედებისთვის შედგენილი მსხვილი ქრისტიანთაშორისი პლატფორმით – მწუხარებას გამოვხატავთ რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატის პიაივი რიასანენის ირგვლივ შექმნილ სიტუაციებთან დაკავშირებით, რომელმაც

საჯაროდ განაცხადა თავისი ერთგულება ტრადიციული ქრისტიანული პრინციპებისადმი და შედეგად იმყოფება სასამართლო დევნისა და დაპატიმრების მუქარის ქვეშ.

პიაივი რიასანენმა მოიშველია პავლე მოციქულის სიტყვები რომაელთა მიმართ ეპისტოლიდან მათ შესახებ, რომლებიც „მისცნა იგინი ღმერთმან გულის თქუმასა გულთა მათთასა არა-წმიდებად და გინებად ჯორცთა მათთა მათ თანა“, და „ვნებასა მას გინებისასა, რამეთუ დედათა მათთა გარდაცვალებს ბუნებისა იგი წესი არა-ბუნებად. ეგრეთცა მამათა მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი დედათაჲ, განჯურდეს გულის თქუმითა მათითა ურთიერთარს. მამანი მამათა თანა სარცხვნელსა იქმოდეს, და კუალად-საგებელი იგი, რომელ ჯერ-არს საცთურისა მათისაჲ, ურთიერთას მიილიან“ (რომ. 1:24-27). ამ ციტატაში ხელისუფლებამ დაინახა „თანასწორობის პრინციპისა და ჰომოსექსუალების ღირსების დარღვევა“.

გარდა ამის, პიაივი რიასანენი დადანაშაულებულია იმაში, რომ მან „საჯაროდ ჩამოაყალიბა ქრისტიანული კონსერვატიული ხედვა ქორწინების შესახებ“ და 2004 წელს გამოსცა 24 გვერდიანი ბუკლეტი, სადაც ჰომოსექსუალიზმს „სექსუალური ანომალია“ უწოდა.

ბიბლიის ერთგული ქრისტიანები ჰომოსექსუალიზმს განიხილავენ როგორც ცოდვას. ამიტომ ისინი მოწოდებულნი არიან, რომ არ გაკიცხონ ჰომოსექსუალური მიდრეკილებების მქონე პირები, არამედ, პირიქით, იზრუნონ ყოველ ასეთ ადამიანზე და დაეხმარონ მათ სინანულისა და განკურნების გზაზე, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი: „ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათვის ცოდვილისა, რომელმან შეინანოს, ვიდრეა არა ოთხმოც და ათცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უკმს სინანული“ (ლკ. 15:7).

თუმცა დახმარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს აქვს განკურნების სურვილი. თუკი სულიერი სწეულებას ასეთად არ ჩათვლი, მაშინ არც განკურნება ხდება.

დღეს ჭეშმარიტების გაგება ჩანაცვლებულია პლურალიზმის ცნების გაგებით, ანუ ჭეშმარიტი და ცრუ მოსაზრებები ერთ სიბრტყეზეა განლაგებული. შედეგად იშლება ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის. მაგრამ ქრისტიანთათვის სწორედ ბიბლია რჩება იმ გზის მაჩვენებელ შუქურად, რომელზე სწორებაც მათ მართებთ.

ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ ქრისტიანებს, ვინც მიუხედავად ლიბერალიზმის გაძლიერებისა, ერთგულებენ თავიანთი სარწმუნოების ტრადიციულ პრინციპებს და უარს არ ამბობენ ბიბლიური ზნეობრივი ფასეულობების დაცვაზე.

ვუერთდებით ყველა ძმას და დას, რომლებიც მყარად დგანან სახარებისეულ სიმართლეზე, და არ ვკარგავთ იმის იმედს, რომ თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებაში გაიმარჯვებს გონება და

იზიძეებს სამართლიანობა.

განცხადება მიიღეს:

რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ

სომხეთის სამოციქულო ეკლესიის რუსეთისა და ახალი ნახიჩევანის ეპარქიამ

რუსეთის ევანგელურ-ლუთერანულმა ეკლესიამ

რუსეთის ევანგელისტ ქრისტიან-ბაპტიტების კავშირმა

რუსეთის ევანგელური სარწმუნოების ქრისტიანთა გაერთიანებულმა კავშირმა

(ორმოცდაათიანელები)

რუსეთის ევანგელური სარწმუნოების ქრისტიანთა ეკლესიამ

მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტიტთა ეკლესიამ

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88387/>